



ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში და მის ადმატებულებას ქალბატონ კელი დეგნანს

ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს საქართველოში მის ადმატებულებას ბატონ კარლ ჰარცელს

საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიურ კორპუსს

საქართველოს მთავრობას

შპს „გრინ კაპიტალი“-ს სკ402052372 ადვოკატი გიორგი ქიშმარია

შპს "ფრონტერა ისტერნ ჯორჯია" ს/ნ 204905674 ადვოკატი გიორგი ქიშმარია

### მიმართვა

უპირველეს ყოვლისა გიდასტურებთ ჩვენს პატივისცემას და განსაკუთრებულ მადლობას მოგახსენებთ ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერისათვის, ასევე მადლობას მოგახსენებთ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილისა და ხელშეწყობისათვის.

თქვენო ადმატებულებავ გვიწევს თქვენი შეწუხება და ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებზე როგორცაა საინვესტიციო გარემო საქართველოში და მისი დღევანდელი დღე. რომ არა დავის განსაკუთრებული ხასიათი და მისი სიმწვავე ნამდვილად არ მოგვიწევდა თქვენთან მიმართვა. საკითხი ეხება ამერიკული და ევროპული ინვესტიციის მიმართ დამაზიანებელ გარემოს საქართველოში რაც გამოიხატება ერთ ცნობილ საქმეში რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

გაცნობებთ, რომ ცნობილი ამერიკული კომპანია "ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშნ"-ს (CR-72227 /აშშ/) "პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ ხელშეკრულების" შესაბამისად, რომელიც დადებულ იქნა 1997 წლის 24 ივნისის მასსა და სახელმწიფო კომპანია "საქნავთობს" შორის, ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ექსკლუზიური უფლება. ფრონტერა, როგორც ამერიკული კომპანია მისი ფილიალისა და საოპერაციო კომპანიის მეშვეობით - შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“, 1997 წლიდან ახორციელებდა ნავთობის და გაზის ოპერაციებს. "ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშნ"-ს, 1997 წლის 24 ივნისის პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებით მიენიჭა "ინვესტორის" სტატუსი. მან, როგორც "ინვესტორმა", დააფუძნა "საოპერაციო კომპანია" - შპს "ფრონტერა ისტერნ ჯორჯია" (ს/ნ 204905674), რომლის დამფუძნებელი პარტნიორები იყვნენ "ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშნი" და სახაზინო საწარმო სახელმწიფო კომპანია "საქნავთობი". 2021 წლის 31 მარტამდე "ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშნი" წარმომადგენდა აღნიშნული კომპანიის 50 %-იანი წილის მესაკუთრეს, ხოლო 50 %-იანი წილის მესაკუთრეს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. "საოპერაციო კომპანია"-მ 1997 წელს გაიმარჯვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში და ამავე წლის 17 ნოემბერს მას მიენიჭა ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის ლიცენზია, რომლითაც მას მიენიჭა საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ექსკლუზიური უფლება.

1997 წლის 17 ნოემბერს მინიჭებული ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის თანახმად, შპს "ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას" აქვს შემდეგი ოპერაციების წარმოების უფლება:

1. საქართველოს ტერიტორიის მე-12 ბლოკზე არსებული ნავთობისა და გაზის საბადოების აღდგენა და მოპოვების გაზრდა;
2. ტერიტორიის გეოლოგიური და ეკოლოგიური შესწავლა;
3. ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა და ძიება;
4. ექსპლუატაციაში შეყვანა;

ლიცენზია გაცემულია 1997 წლის 27 აგვისტოდან, 2022 წლის 27 აგვისტომდე და იძლევა უფლებას ზემოთდასახელებული ოპერაციების ჩატარება განხორციელდეს დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, გურჯაანის, მარნეულის და გარდაბნის ტერიტორიაზე (გეოლოგიური მინაკუთენის ფართობი გეგმაზე - 5060 (ხუთი ათას სამოცი) კვ/მ).

დიახ, ეს ის ფრონტერაა, რომელმაც 2004 წელს პირველად საქართველოს ისტორიაში, საქართველოში არსებული ერთ-ერთი პროექტით საფონდო ბირჟაზე მობილიზება და ლისტინგი გაუკეთა დაახლოებით 100 მილიონი დოლარის კაპიტალს. ეს თანხა მთლიანად ქართულ საინვესტიციო პროექტს მოხმარდა. ამით გაიცნო მსოფლიოს კაპიტალის საერთაშორისო საფონდო ბაზარმა საქართველო. შემდეგ ამ თანხით ძალიან დიდი წარმატებით ჩატარდა სამუშაოები ბურღვის, სეისმიკის, კვლევის და ძალიან დიდი მარაგები აღმოჩნდა ნავთობის და ბუნებრივი გაზის. ეს იყო დიდი წარმატება არა მხოლოდ კომპანიისთვის, არამედ ქვეყნისთვის.

**2013 წლის შემდგომ, სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის კვალდაკვალ, ფრონტერას, როგორც ამერიკულ ინვესტიციას მიაღდა უდიდესი მატერიალური ზიანი და ამ დროს მან დახმარებისათვის და ინვესტიციებისათვის მიმართა გრინ კაპიტალს. შპს „გრინ კაპიტალმა“ მილიონობით დოლარის ინვესტიცია განახორცილა.**

2018 წლის 25 აპრილს, მოსარჩელე - შპს "გრინ კაპიტალსა" და მოპასუხე - შპს "ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენი-ს ფილიალი საქართველოში"-ს შორის, გაფორმდა ნედლი ნავთობის ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით, "ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენი-ს ფილიალი საქართველოში"-მ, როგორც გამყიდველმა იკისრა ვალდებულება მიეწოდებინა ნედლი ნავთობი შპს "გრინ კაპიტალისათვის" ხელშეკრულებით გათვალისწინებული და მყიდველის მიერ გადახდილი ნედლი ნავთობის საფასურის პროპორციულობით. შპს "გრინ კაპიტალმა", შეთანხმებისამებრ განახორციელა რამდენიმე გადახდა, ჯამურად 5 800 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, თუმცა ამის მიუხედავად, გამყიდველმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და არ მიუწოდებია ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი - ნედლი ნავთობი რაც გახდა სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი.

2021 წლის 31 მარტს, მოსარჩელე მხარეს სრულად დაგვიკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა, ამავე დღეს გადაწყვეტილება შესულ იქნა კანონიერ ძალაში და გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი. ფრონტერამ სრულად ცნო და დაეთანხმა გრინ კაპიტალის სასარჩელო მოთხოვნას. მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობდა 2018 წლის 25 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან იყო კანონიერი, დასაბუთებული და სწორედ ეს გახდა საფუძველი მისი სრულად დაკმაყოფილებისა სასამართლოს მიერ. ფრონტერამ ვერ დაფარა გრინ კაპიტალის წინაშე აღებული ვალდებულება და მედიაციის ფარგლებში მან მშვიდობიანად დაასრულა გრინ კაპიტალთან დავა. დიახ, მშვიდობიანად და კონსენსუსის გზით მან მოახდინა დავის დასრულება.

2021 წლის 31 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად:

შპს „გრინ კაპიტალის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს სრულად

2. დაეკისროს ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენს მოსარჩელე შპს "გრინ კაპიტალის" სასარგებლოდ 5 800 000 (ხუთი მილიონ რვაასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდა.

3. შპს "გრინ კაპიტალს" (ს/ნ 402052372) მიეკუთვნოს 1997 წლის 24 ივნისის პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ ხელშეკრულებით "ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენი"-სთვის 1997 წლის 27 აგვისტოდან, 2022 წლის 27 აგვისტომდე მინიჭებული, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, გურჯაანის, მარნეულის და გარდაბნის ტერიტორიაზე (გეოლოგიური მინაკუთვნის ფართობი გეგმაზე - 5060 (ხუთი ათას სამოცი) კვ/მ) ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ექსკლუზიური უფლება.

4. შპს "გრინ კაპიტალი" აღიარებული და აღრიცხული იქნეს 1997 წლის 24 ივნისის "პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ ხელშეკრულების" მხარედ.

5. შპს "ფრონტერა ისტერნ ჯორჯია"-ს (ს/ნ 204905674) 50%-იანი წილის მესაკუთრედ "ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენი"-ის ნაცვლად აღირიცხოს და დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში შპს "გრინ კაპიტალი" (ს/ნ 402052372).

აღნიშნული გადაწყვეტილება იმავე დღეს შევიდა კანონიერ ძალაში და 2021 წლის 01 აპრილს გაიცა სააღსრულებო ფურცელი

2021 წლის 20 აპრილს, სასამართლოში წარმოდგენილ იქნა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ და სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ ერთობლივი მომართვა, რომლითაც მოითხოვეს 2021 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რაც 2021 წლის 27 აპრილს, სასამართლომ დააკმაყოფილა. ამასთან სასამართლომ 2021 წლის 26 აპრილის განჩინებით გამოიყენა შემდეგი უზრუნველყოფის ღონისძიებები:

1.1 ყადაღა დაედო შპს „გრინ კაპიტალზე“ გადაფორმებულ 50%-იან წილს შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ საწესდებო კაპიტალში და შპს „გრინ კაპიტალს“ აეკრძალა მისი რეალიზაცია/განკარგვა და/ან ნებისმიერი ფორმით უფლებრივი დატვირთვა.

1.2 შპს „გრინ კაპიტალს“ (მათ შორის შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიაში“ მის მიერ დანიშნულ პირებს), „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენის“ ფილიალს საქართველოში და შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ აეკრძალა პირდაპირ ან/და შვილობილი კომპანიების ან/და მესამე პირების მეშვეობით, მოპოვებული ნავთობისა და გაზის და ასევე, ნავთობისა და გაზის ოპერაციებისთვის გამიზნული და „31 მარტის გადაწყვეტილების“ გამოტანის მომენტისთვის „ფრონტერას“ „ფილიალის“ და შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების რეალიზაცია/განკარგვა და უფლებრივი დატვირთვა და ყადაღა დაედო მითითებულ ნავთობსა და გაზს და სხვა ქონებას.

1.3 შეჩერდა 2021 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული 2021 წლის 01 აპრილის სააღსრულებო ფურცლის აღსრულება. აღნიშნულით გრინ კაპიტალს, ასევე ფრონტერას აუკრძალეს ნავთობისა და გაზის რეალიზაცია რაც წარმოუდგენელი უკანონობაა და უხეში ჩარევა სასამართლო ორგანოებში.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული განჩინება შპს „გრინ კაპიტალის“ ადვოკატებმა გავასაჩივრეთ თბილისის სააპელაციო სასამართლოში თუმცა სააპელაციო სასამართლომაც მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და უარი გვითხრა ჩვენი საჩივრის დაკმაყოფილებაზე და ძალაში დატოვა 2021 წლის 26 აპრილის ბუნდოვანი და უკანონო განჩინება და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი .

ასევე ჩვენს მიერ გასაჩივრებულა კერძო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 აპრილის განჩინება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობაზე რაც დღემდე არ არის განხილული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ. აღნიშნული საქმის მოსამართლე ბატონი მერაბ ლომიძე გახლავთ.

ბატონებო როგორც მოგახსენებთ, ფრონტერა და მისი ფილიალი ახორციელებდნენ ნავთობის მოპოვებას აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კახეთის რეგიონში, რისი უფლებამოსილებაც 2021 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით გადაეცა შპს „გრინ კაპიტალს“. გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, დღეის მდგომარეობით ნავთობის და გაზის ოპერაციები არის შეჩერებული, რაც გარდუვალად გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას, რადგან ნავთობის მოპოვების შეჩერების კვალდაკვალ, დაწყებულია ნავთობის დაღვრა, რაც როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე ეკოლოგიისათვის კაბალური შედეგის მომტანია.

მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო იმ გარემოებაზე, რომ პროდუქტის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონტრაქტორ მხარეს შეუძლია მისთვის ამ კონტრაქტით მინიჭებული უფლებების, ვალდებულებების და ინტერესების გადაცემა მესამე მხარისათვის იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერ მესამე მხარეს:

აქვს ტექნიკური და ფინანსური უნარი, რომ შეასრულოს ამ კონტრაქტით აღებული ვალდებულებები დამისთვის გადაცემულ ინტერესთან დაკავშირებით იღებს და კისრულობს ამ კონტრაქტის ვადებსა და პირობებს. შპს „გრინ კაპიტალმა“ სასამართლოს და ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს წარუდგინა თავისი ფინანსურ-ტექნიკური შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლითაც ცალსახად დადასტურდა, რომ მას აქვს ნავთობის ოპერაციების ჩატარების რესურსი, ჰყავს ტექნიკური პერსონალი, სათანადო აღჭურვილობა და გამოცდილება. გარდა ამისა, შპს „გრინ კაპიტალ“-მა აიღო ვალდებულება, რომ მისთვის გადაცემულ ინტერესთან დაკავშირებით იღებს და კისრულობს კონტრაქტის ვადებსა და პირობებს.

კიდევ ერთი დარღვევა აღნიშნულ საქმეზე: შპს „გრინ კაპიტალი“ არის 1997 წლის 24 ივნისის "პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ ხელშეკრულების" მხარე. როგორც მოგეხსენათ ზემოთაღნიშნული ხელშეკრულება არის მხარეთა კონსტიტუცია ანუ უზენაესი კანონი. 1997 წლის 24 ივნისის "პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, პროდუქტის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „ვიდრე სხვაგვარად იქნება განსაზღვრული ამ კონტრაქტის მიხედვით, ყველა დავები წარმოშობილი საქნავთობსა და კონტრაქტორ მხარეებს შორის ყოველგვარი ლიმიტაციის გარეშე ნებისმიერი დავა, უნდა იქნეს განხილული სამი არბიტრის მიერ რაც განსაზღვრულია გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კანონმდებლობით , კონკრეტულად არის დასახელებული ქალაქი, სადაც არბიტრაჟი უნდა გაიმართოს, კერძოდ „არბიტრაჟი უნდა შედგეს სტოკჰოლმში, შვეცია. იკვეთება, რომ აღნიშნული საქმის განხილვა არ არის სასამართლოს განსჯადი, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლომ განაგრძო აღნიშნული საქმის განხილვა და მის მიერვე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ბათილად ცნო ნაწილობრივ.

წინამდებარე განცხადებით მოგმართავთ, რადგან მიგვაჩნია, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და ნაწილობრივ ბათილად ცნობილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არის არის უკანონო და დაუსაბუთებელი. გვსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილო იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საერთოდ არ სცნობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, რაც ცალსახად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლე არჩილ კოჭლამაზაშვილის მიერ გამოყენებული ღონისძიებები არის უკანონო. რეალურად სახელმწიფო ორგანოებმა მოსამართლე აიძულეს რომ მიეღო მსგავსი უკანონო გადაწყვეტილება.

მნიშვნელოვანია რომ 1997 წლის პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც დადებულია მაშინდელ საქნავთობსა და ფრონტერა რისორისის ჯორჯია კორპორეიშენს შორის, წერია გარკვევით, რომ არსებული ნავთობ რესურსები წარმოადგებს სახელმწიფო საკუთრებას და სწორედ ამიტომ მხარეები აფუძნებენ საოპერაციო კომპანიას, სადაც საოპერაციო კომპანიას ენიჭება უფლება გარემოს დაცვის სამინისტროსგან მიიღოს ლიცენზია ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე და მათ განკარგვაზე. ლიცენზიის შესაბამისად საოპერაციო კომპანია ხდება მესაკუთრე ყველა ბუნებრივი რესურსის. გთხოვ გაეცნოთ პწგზ 1.76 მუხლს , რომელიც გვეუბნება რომ ნავთობ გადამამუშავების ოპერაცია ნიშნავს მის ფლობას. ასევე გთხოვთ იხილოთ პწგზ ხელშეკრულების შემდეგი მუხლები 1.56, 1. 65 , 1.66,1.71 .1.76 , 2. 1 მუხლი , 2.4 .22 მუხლის 21.1 პუნქტი. 22 მუხლის 25. პუნქტი, 25.3 პუნქტი.

ასევე კონტრაქტი პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად 8.5 მუხლის თანახმად, მხარეთა და საოპერაციო კომპანიის ნავთობთან დაკავშირებული ოპერაციები უნდა მოიცავდეს უფლებებს და მოვალეობებს ყველა ნარჩენი, მიტოვებული ნავთობის, აღჭურვილობის, ნედლი ნავთობის, წყლის, მასალაების, ინვენტარის და სხვა ქონების მიმართ.

ხელშეკრულების 8.6 მუხლის შესაბამისად საოპერაციო კომპანია ვალდებულია. სარგებლიანად, სათანადო წესით განკარგოს საკონტრაქტო ტერიტორიაზე ნედლი ნავთობი, ზემოაღნიშნულიდან მიღებული ყველა შემოსავალი კი რეინვესტირდება ნავთობის ოპერაციებში ოპერაციებში.

ხელშეკრულების 13.1 მუხლის შესაბამისად გარდა საკონტრაქტო ზონაში ნავთობის ოპერაციების განხორციელების უფლებისა, სახელმწიფომ და საქნავთობმა უნდა უზრუნველყონ მისაწვდომობა ყველა არსებული საშუალებებისადმი და ინფრასტრუქტურისადმი საკონტრაქტო ზონაში ნავთობის ოპერაციების შესრულებისათვის.

ხელშეკრულების 13.5 საოპერაციო კომპანიას, მის აგენტებს და პერსონალს აქვთ თავისუფალი ხელმისაწვდომობა მათი ფუნქციების ფარგლებში ყველა დანადგარისადმი, რომელიც კონტრაქტის მონაწილეს ან საოპერაციო კომპანიის მიერ შესაბამისად არის განლაგებული ან სხვა შემთხვევაში გამოიყენება ნავთობის ოპერაციების დროს. 13.7 მუხლის შესაბამისად კონტრაქტორს ან საოპერაციო კომპანიას უნდა ჰქონდეს უფლება გამოიყენოს არსებული მილსადენი და ნავთო- გაზსადენის საბოლოო სადგური რომელიც სახელმწიფოს და საქნავთობის კონტროლქვეშაა. სახელმწიფო და საქნავთობი უნდა დაეხმარონ საოპერაციო კომპანიას, რომ აღნიშნული აღნიშნული საშუალებები მისთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

პწგბ 14.1 მუხლის შესაბამისად იმისთვის, რომ საოპერაციო კომპანიას მიეცეს საშუალება ნავთობის ოპერაციების სათანადოდ განხორციელებისა სახელმწიფოს, შესაბამისი ორგანიზების დახმარებით ეკისრება მოვალეობა, საოპერაციო კომპანიის მოთხოვნით, რომ: ზ) დაუკავშირდეს და ინსტრუქციები მისცეს სახელმწიფოს შესაბამის დეპარტამენტებს და სამინისტროებს და სხვა ნებისმიერ ორგანოებს, რომელთაც სახელმწიფო აკონტროლებს რათა მათ ყველა აუცილებელი მოქმედება განახორციელონ ნავთობის ოპერაციების ჩასატარებლად.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს ასევე ის გარემოებაც, რომ ეს ყველაფერი გვიტოვებს მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება შეუერთდება იმ გადაწყვეტილებების რიგს, რომლებმაც გამოიწვიეს ბიზნესის ლიკვიდაცია, ეკოლოგიის დაბინძურება და სახელმწიფოსათვის გამოუსწორებელი ზიანი.

მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს ფაქტი, რომ 31 მარტს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდეს, გაიცეს სააღსრულებო ფურცელი და 21 აპრილს სახელმწიფო ორგანოებმა მიმართონ და ამის შედეგად 26 აპრილს სასამართლომ გამოსცეს 3 განჩინება საქმის განახლებასა და ყადაღების დადებაზე ისე, რომ არც გაითვალისწინოს კერძო და სახელმწიფო ინტერესი.

ბატონებო გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, დღეის მდგომარეობით ნავთობის და გაზის ოპერაციები არის შეჩერებული, რაც გარდაუვლად გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას, რადგან ნავთობის რეალიზების შეჩერების კვალდაკვალ, იცემა ჭაბურღილები, შესაბამისად, დაწყებულია ნავთობის დაღვრა, რაც როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე ეკოლოგიისათვის კაბალური შედეგის მომტანია. გამოყენებული შეზღვევების კვალდაკვალ ზიანდება არამხოლოდ ჩვენი, ერთი იურიდიული პირის, არამედ სახელმწიფოს ინტერესიც, რადგან სწორედ სახელმწიფო მიზნებს ემსახურება ნავთობის მოპოვების და რეალიზაციის ოპერაციების განხორციელება, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია ყველა ხერხით ხელი შეუწყოს ინვესტორს აღნიშნულ საქმიანობაში. არსებული მოცემულობით, სახელმწიფო არ ითვალისწინებს ეკონომიკურ ინტერესს, იმ ფაქტს, რომ კომპანიაში დასაქმებულია ასობით ადამიანი და რომ მათ აღნიშნული შეზღვევის გამოყენებით დაკარგეს შემოსავლის წყარო. მინდა ყურადღება გავამახვილო ასევე იმ ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეზე, რომლის წინაშეც მთელი რეგიონი შეიძლება დადგეს. კერძოდ: იმის გამო, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით შეგვეზღუდა ნავთობის გასხვისების უფლება, ხოლო უკვე მოპოვებული ნავთობი განთავსებულია ჭაბურღილებში და აუცილებელია მისი გათავისუფლება, რათა მოხდეს ნავთობის მოპოვების ოპერაციების განხორციელება, რადგან მოპოვებული ნავთობი უნდა განთავსდეს სწორედ აღნიშნულ ჭაბურღულებში. ამ პროცესში აუცილებელია, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ჭაბურღილის დაცლა და მოპოვებული ნავთობისაგან გათავისუფლება, რათა შემდგომ დაწყებულ იქნას ახალი ოპერაცია. მოგახსენებთ, რომ

დღეის მდგომარეობით ვერ იცლება ჭაბურღილები, რადგან არ ხდება ნავთობის რეალიზაცია, შესაბამისად სრულად არის შეწყვეტილი ნავთობის მოპოვების სამუშაოები, რაც იწვევს ნავთობის დაღვრას. ისეთ შემთხვევაში, თუ ნავთობის მოპოვება არ განახლდება, რეგიონი დადგება ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე, განსაკუთრებით ზაფხულის რეგიონში. კიდევ ერთხელ გავამახვილებ ყურადღებას იმაზე, რომ გაზსადენი მილის დაყადაღებით, სრულად შეუწყდა ადგილობრივ მოსახლეობას გაზის მიწოდება, რაც ასევე საზოგადოების ინტერესს დააზიანებს და მომავალში ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც აისახება, რადგან ადგილობრივი წარმოშობის გაზის გამოყენებლობა იმ პირობებში, როდესაც შესაძლოა წლები გაგარბელდეს სასამართლო დავა, საფრთხეს შეუქმნის ეკონომიკურ მდგომარეობას არამხოლოდ რეგიონში, არამედ ქვეყანაში. მინდა განვმარტო, რომ ნავთობის მოპოვების ოპერაციებზე, კომპანიას დასაქმებული ჰყავს ასობით ადგილობრივი ათეულობით წლის განმავლობაში. იმ ქვეყანაში, სადაც უმუშევრობის დონე უმაღლეს ნიშნულს აღწევს, სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს სამუშაო ადგილების შექმნა, უკვე არსებულის შენარჩუნება და დამსაქმებლის ხელშეწყობა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სასამართლოს გადაწყვეტილება არის საზოგადოებრივი ინტერესების დამაზიანებელი, რადგან მისით ფაქტობრივად ასობით ადამიანი რჩება სამუშაო ადგილის გარეშე. იმ ფონზე, რომ ეს ადამიანები წლების განმავლობაში მხოლოდ აღნიშნული საქმიანობით არიან დაკავებული და რეგიონში არ არსებობს არავითარი სხვა მსხვილი კომპანია, რომელიც მათ დასაქმებას შეძლებს, ისინი ფაქტობრივად ყოველგვარი შემოსავლის გარეშე რჩებიან, რაც რატემაუნდა ისევე საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახება, ხოლო შემდეგ სახელმწიფოს.

პროდუქტის წილობრივი განაწილების შესახებ ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.6-ე ნაწილის თანახმად, საოპერაციო კომპანია ვალდებულია სამუშაო პროგრამის ნაწილის სახით, სარგებლიანად, სათანადო წესით განკარგოს საკონტრაქტო ტერიტორიაზე არსებული ნარჩენი, დაგროვილი, აღდგენას დაქვემდებარებული მასალები, აღჭურვილობა და ინვენტარი, ნედლი ნავთობი, ზემოაღნიშნულიდან მიღებული ყველა შემოსავალი გაანგარიშდება და რეინვესტირდება საკონტრაქტო ტერიტორიაზე წარმოებულ ოპერაციებში. აღნიშნული ჩანაწერის თანახმად, საოპერაციო კომპანიას - შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“, ენიჭება უფლებამოსილება თავად განახორციელოს მოპოვებული ნედლი ნავთობის რეალიზაცია, ხოლო მისგან ამონაგები თანხა სრულად უნდა მოახმაროს ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებას. ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოება გულისხმობს ხელფასების გაცემას, სათანადო რესურსის მოპოვებისა, გარემოს დაცვითი სამუშაოების განხორციელებას და გადასახადების გადახდას.

დღეის მდგომარეობით, ნავთობის რეალიზაციის აკრძალვის ფონზე, კომპანია ვერ ახერხებს ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებას კიდევ იმ მიზეზით, რომ ვერ იღებს მოგებას, რათა დასაქმებულ პირებს გადაუხადოს შრომითი ანაზღაურება. თქვენს ყურადღებას გავამახვილებ ასევე სახელმწიფოს ზიანზეც, კერძოდ, უკვე მეორე თვეა ათასობით ლარის გადასახადი დააკლდა სახელმწიფოს ბიუჯეტს, რასაც კომპანია იხდიდა ნავთობის გასხვისების ოპერაციის შესრულების ფარგლებში და რასაც გამოყენებული შეზღუდვის ფონზე ვერ ახორციელებს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ინტერპრეტაციისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილია სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეექვსე მუხლთან შესაბამისობაში, კერძოდ, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, ხოლო გამოყენებული საშუალებები პროპორციულად გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს დასახულ მიზანთან.

კომპანია გრინ კაპიტალი წარმოგიდგინებ წერილობით დოკუმენტაციას სადაც ფრონტერა რისორსის ჯორჯია და ფრონტერა რისორსის ჯორჯიას ფილიალი უარყოფენ რომ ნავთობი და გაზი ეკუთვნის მათ, ასევე წარმოგიდგინებ ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას მიმართვას და განმარტებებს სადაც აღნიშნავენ რომ ნავთობი და გაზის მესაკუთრე განლაკვთ შპს ფრონტერა ისტერნ ჯორჯია. შპს გრინ კაპიტალი განმარტავს რომ ნავთობისა და გაზის მესაკუთრე განლაკვთ ფრონტერა ისტერნ ჯორჯია რომლის მესაკუთრეები არიან გრინ კაპიტალი 50% და ნავთობისა და გაზის კოორპორაცია 50%. ასევე

მნიშვნელოვანია რომ 2021 წლის 31 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა არ არის შესული კანონიერ ძალაში და შპს გრინ კაპიტალი რჩება შპს ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას 50 პროცენტის მესაკუთრედ შპს ფრონტერა ისტერნ ჯორჯიაში და ასევე 1997 წლის ხელშეკრულების მხარედ. რეალურად სასამართლო დავა წარმოებს პარტნიორებს შორის და გაუგებარია აღმასრულებელმა რომელი მტკიცებულების საფუძველზე დაასკვნა რომ ნავთობი და გაზი ეკუთვნის ფილიალს რომელიც საერთოდ ხელშეკრულების მხარე არ არის და დღევანდელი სასამართლო გადაწყვეტილებით შპს გრინ კაპიტალია მესაკუთრე 50 % წილის და 1997 წლის ხელშეკრულების მხარე. ჩვენ სრულად ვეთანხმებით ფრონტერა რისოსრისის ჯორჯიასა და ფრონტერა რისოსრისის ჯორჯიას ფილიალის მიმართვას რომ ნავთობი და გაზი კუთვნივით ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას, ასევე სრულად ვეთანხმებით ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას მიმართვას სადაც აცხადებენ რომ ნავთობი და გაზი ეკუთვნით მათ და ითხოვენ დაუყოვნებლივ ყადაღის მოხსნას.

მოგახსენებთ რომ არსად არც 2021 წლის 26 აპრილის განჩინებაში და არც მის საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში არ არის მითითებული ფრონტერა ისტერნ ჯორჯია (ს/ნ 204905674) რომლის საკუთრებაშია ნავთობი და გაზი, ასევე გაზსადენი რაც დგინდება ამონაწერით გაცემული საჯარო რეესტრიდან და ასევე სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული ამოწერით.

ვაქტია აღმასრულებელმა დაუშვა მძიმე შეცდომა და აერია ერთმანეთში ფრონტერა რისოსრისის ჯორჯია კორპორეიშენი და ფრონტერა ისტერნ ჯორჯია სადაც მესაკუთრეები გახლავთ სახელმწიფო 50 პროცენტიაწიანი წილის მესაკუთრედ და გრინ კაპიტალი 50 პროცენტი წილის მესაკუთრედ. ფრონტერა ისტერნ ჯორჯია შექმნილი იყო თავის დროზე იმიტომ რომ ყოფილიყო საოპერაციო კომპანია და მოეხდინა გაზისა და ნავთობის რეალიზაცია. არსად სააღსრულებო ფურცელში მითითებული არ არის ფრონტერა ისტერნ ჯორჯია რომელიც არის ნავთობის, გაზის, გაზის მილსადენის მესაკუთრე ხოლო სახელმწიფო და გრინ კაპიტალი არიან წილის მფლობელები და შესაბამისად გრინ კაპიტალს როგორც ამჟამინდელ მეწილს და ასევე ყოფილ მეწილეს ფრონტერა რისოსრისის ჯორჯიას აქვთ აკრძალვები რაც არავითარ კავშირში არ არის ფრონტერა ისტერნ ჯორჯიასთან რომელიც არის სრულიად სხვა და დამოუკიდებელი სუბიექტი . ფრონტერა ისტერნ ჯორჯია ემსახურება უმაღლესი სახელმწიფო ინტერესების განხორციელებას და ქვეყანაში შემოაქვს ასობით მილიონი დოლარის ინვესტიცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით რომ გვიშამდგლოთ საქართველოს მთავრობასთან რომ დაუყოვნებლივ დაუყოვნებლივ მოიხსნას თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ უკანონოდ და უსაფუძვლოდ დადებული ყადაღები შპს ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას საიდენტიფიკაციო ნომერი: 204905674 საკუთრებაში არსებულ ნავთობსა და გაზზე , ასევე გაზსადენის მილზე და მოიხსნას აღმასრულებლის მიერ დადებული ლუქები ჭაბურღილებიდან და რეაზერვუარებიდან. აღნიშნულით შეზღუდვის მოხსნით „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“, როგორც საოპერაციო კომპანიას შეეძლება ნავთობისა და გაზის რეალიზაციის უფლება, რომლის ფარგლებში მიღებული შემოსავალი სრულად მოხმარდება ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოება.

კიდევ ერთხელ განვმარტავთ რომ : კონტრაქტი პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად , რომელიც დადებულია მაშინდელ საქნავთობსა და ფრონტერა რისოსრისის ჯორჯია კორპორეიშენს შორის, წერია გარკვევით რომ არსებული ნავთობრესურსები წარმოადგებს სახელმწიფო საკუთრებას და სწორედ ამიტომ მხარეები აფუძნებენ საოპერაციო კომპანიას სადაც საოპერაციო კომპანიას ენიჭება უფლება გარემოს დაცვის სამინისტროსგან მიიღოს ლიცენზია ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე და მათ განკარგვაზე. ლიცენზიის შესაბამისად საოპერაციო კომპანია ხდება მესაკუთრე ყველა ბუნებრივი რესურსის. გთხოვ გაეცნოთ პწგხ .ხელშეკრულების 1.76 მუხლს , რომელიც გვეუბნება რომ ნავთობ გადამამუშავების ოპერაცია ნიშნავს მის ფლობას. ასევე გთხოვთ იხილოთ პწგხ ხელშეკრულების შემდეგი მუხლები 1.56, 1. 65 , 1.66, 1.71 .1.76 , 2. 1 მუხლი , 2.4 .22 მუხლის 21.1 პუნქტი. 22 მუხლის 25. პუნქტი, 25.3 პუნქტი. ასევე კონტრაქტი პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად 8.5 მუხლი მოიცავს მხარეთა და

საოპერაციო კომპანიის ნავთობთან დაკავშირებული ოპერაციები უნდა მოიცავდეს უფლებებს და მოვალეობებს ყველა ნარჩენი, მიტოვებული ნავთობის, აღჭურვილობის, ნედლი ნავთობის, წყლის, მასალაების, ინვენტარის და სხვა ქონების მიმართ. ხელშეკრულების 8.6 მუხლის შესაბამისად საოპერაციო კომპანია ვალდებულია. სარგებლიანად, სათანადო წესით განკარგოს საკონტრაქტო ტერიტორიაზე ნედლი ნავთობი, ზემოაღნიშნულიდან მიღებული ყველა შემოსავალი. რეინვესტირდებ ოპერაციებში. ხელშეკრულების 13.1 მუხლის შესაბამისად გარდა საკონტრაქტო ზონაში ნავთობის ოპერაციების განხორციელების უფლებისა, სახელმწიფომ და საქნავთობმა უნდა უზრუნველყონ მისაწვდომობა ყველა არსებული საშუალებებისადმი და ინფრასტრუქტურისადმი საკონტრაქტო ზონაში. ნავთობის ოპერაციების შესრულებისათვის. ხელშეკრულების 13.5 საოპერაციო კომპანიას, მის აგენტებს და პერსონალს აქვთ თავისუფალი ხელმისაწვდომობა მათი ფუნქციების ფარგლებში ყველა დანადგარისადმი, რომელიც კონტრაქტის მონაწილეს ან საოპერაციო კომპანიის მიერ შესაბამისად არის განლაგებული ან სხვა შემთხვევაში გამოიყენება ნავთობის ოპერაციების დროს. 13.7 მუხლის შესაბამისად კონტრაქტორს ან საიპერაციო კომპანიას უნდა ჰქონდეს უფლება გამოიყენოს არსებული მილსადენი და ნავთოგაზსადენის საბოლოო სადგური რომელიც სახელმწიფოს და საქნავთობის კონტროლქვეშაა. სახელმწიფო და საქნავთობი უნდა დაეხმარონ საოპერაციო კომპანიას, რომ აღნიშნული აღნიშნული საშუალებები მისთვის ხელმისაწვდომი გახდეს. პწგხ ხელშეკრულების 14.1 მუხლის შესაბამისად იმისთვის რომ საოპერაციო კომპანიას მიეცეს საშუალება ნავთობის ოპერაციების სათანადოდ განხორციელებისა სახელმწიფოს, შესაბამისი ორგანიების დახმარებით ეკისრება მოვალეობა, საოპერაციო კომპანიის მოთხოვნით, რომ: ზ) დაუკავშირდეს და ინსტრუქციები მისცეს სახელმწიფოს შესაბამის დეპარტამენტებს და სამინისტროებს და სხვა ნებისმიერ ორგანოებს, რომელთაც სახელმწიფო აკონტროლებს რათა მათ ყველა აუცილებელი მოქმედება განახორციელონ ნავთობის ოპერაციების ჩასატარებლად.

**გარდა ამისა, მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო იმ ფაქტზეც, რომ 2021 წლის 19 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს, არჩილ კოჭლამაზაშვილს, შუამდგომლობით მიმართა სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ გადრანმა მოთხოვნით, მიმდინარე საქმეზე N2/5319-21 2021 წლის 26 აპრილის სააღსრულებო ფურცელში მოვალედ შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ მითითების შესახებ. 2021 წლის 23 ივლისს თბილისის საქალაქომ უარი უთხრა სააგენტოს სააღსრულებო ფურცელში მოვალედ ფრონტერა ისტერნის რეგისტრაციაზე.**

მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ნავთობისა და გაზის პროცედურების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე, რომლებიც ადასტურებს რომ შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“-ს აქვს უფლება და ვალდებულება რომ მოახდინოს გაყიდვა. წიაღით სარგებლობის ლიცენზია აძლევს მას უფლებას, რომ ისარგებლოს მოპოვებული წიაღისეულით, განკარგოს და გაყიდოს.

„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 1997 წელს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“-მ გაიმარჯვა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში და მოიპოვა წიაღით სარგებლობის ლიცენზია. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად: წიაღის მოპოვება არის უშუალოდ ლიცენზიის მფლობელის ან დაქირავებული სუბიექტის მიერ ლიცენზიის მფლობელის სახსრებით განხორციელებული საბადოს დამუშავების შედეგად გარკვეული ოდენობის წიაღისეულის მოხმარება მისი პირდაპირი ან გადამუშავების შემდეგ რეალიზაციის მიზნით, საბადოს დამუშავების ხარჯების გაღებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახდელების გადახდით.

ნავთობის და გაზის კანონი კი ასე განსაზღვრავს ამ ოპერაციებს, კერძოდ განმარტავს, რას გულისხმავს ნავთობისა და გაზის ოპერაციები: ხელშეკრულებით და ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის წიაღში



ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოები, აგრეთვე ამ სამუშაოებთან უშუალოდ დაკავშირებული ოპერაციები (მოპოვებული ნავთობისა და გაზის შეგროვება, მომზადება, გაზომვა და შენახვა). სწორედ ამას არეგულირებს სააგენტო და არა ნავთობის და გაზის რეალიზაციას.

მინდა თქენი ყურადღება გავამახვილო ასევე პწგხ ხელშეკრულებაზე, რომლის 8.6 მუხლის შესაბამისად საოპერაციო კომპანია ვალდებულია. სარგებლიანად, სათანადო წესით განკარგოს საკონტრაქტო ტერიტორიაზე ნედლი ნავთობი და ზემოაღნიშნულიდან მიღებული ყველა შემოსავალის კი რეინვესტირება მოახდინოს ნავთობის ოპერაციებში.

არ შეიძლება ყურადღება არ გავამხვილოთ ამერიკის კონგრესის მხარდაჭერაზე „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენის“ მიმართ საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის შესახებ, კერძოდ წარმოგიდგინოთ კონგრესმენების განცხადებებს, რომლებიც ერთპიროვნულად გამოხატავენ პროტესტს და მხარს უჭერენ ფრონტერას საქართველოში განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში.

გასაოცარია რომ მოსამართლემ იმ კომპანიას შეუზღუდა ნავთობისა და გაზის გაყიდვა, სადაც სახელმწიფო არის 50 %-იანი წილის მესაკუთრე და დამფუძნებელი. აღნიშნული იმას გამოიწვევს, რომ ხვალიდან ათასობით ადამიანი გამოვა გარეთ და ვერ მიიღებს კუთვნილ ხელფასს, რომელიც უნდა მიეღო. ეს გადაწყვეტილება არის მავნებლური, სახელმწიფოს და ხალხის წინააღმდეგ მიმართული უმძიმესი დანაშაული.

ასევე გრინ კაპიტალის მიერ არაერთხელ იქნა განცხადებით მიმართული პრემიერისათვის, საქართველოს პარლამენტისათვის, კოორპორაციისათვის და ეკონომიკის სამინისტროსათვის თუმცა არავითარი შედეგი არ დამდგარა რამეთუ პირდაპირი ინტერესი გააჩნია სახელმწიფოს აღნიშნულ დავაში.

ასევე ფრონტერა რისორსის, მისი ფილიალის და ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას მიერ არაერთხელ იქნა მიმართული განცხადებით პრემიერისათვის, საქართველოს პარლამენტისათვის, კოორპორაციისათვის და ეკონომიკის სამინისტროსათვის თუმცა არავითარი შედეგი არ დამდგარა რამეთუ პირდაპირი ინტერესი გააჩნია სახელმწიფოს აღნიშნულ დავაში და ყოველდღიურად იღებს მავნებულ გადაწყვეტილებებს.

გამომდინარე იქიდან რომ გრინ კაპიტალი არის უკვე 1997 წლის 24 ივნისის "პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ ხელშეკრულების მხარე იგი იტოვებს უფლებას მიმართოს სტოკჰოლმის არბიტრაჟს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენთვის კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილება და კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოთ:

1. გასცეთ რეკომენდაციები საქმის სამართლიანი გადაწყვეტის კუთხით;
2. ყურადღება გავამახვილოთ სასამართლო საქმისწარმოების დროს გამოკვეთილ, ჩემ მიერ მითითებულ დარღვევებზე;
3. მოუწოდოთ აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს 2021 წლის 26 აპრილის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების აღსრულების შეჩერების თაობაზე;
4. კომპეტენციის ფარგლებში გასცეთ დასკვნები და რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხზე, რათა თავიდან იქნას აცილებული შემდგომი დარღვევები;
5. გთხოვთ გვიშუამდგომლოთ საქართველოს მთავრობასთან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე შეხვედრასთან დაკავშირებით და უშუალოდ თქვენი ჩართულობით მოხდეს აღნიშნული შეხვედრა.

პატივისცემით: გრინ კაპიტალისა და ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას ადვოკატი გიორგი ქიშმარია